პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 246 (4240)

1970 წ. 17 დეკემბერი. ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა სამოყვარულო სპორტის სტატუსისა და ოლიმპიურ თამაშებში სპორტსმენთა მონაწილეობის საკითხი. განიხილეს, აგრეთვე, წინადადება ოლიმპიური თამაშების პროგრამის შეცვლის შესახებ.

სპორტული მედიცინის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ა. გრაევსკაიამ ილაპარაკა სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაციის წლევანდელი კონგრესის შედეგებზე. საბჭოთა წარმომადგენლებმა მიაღწიეს, რომ ფედერაციის წესდებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს. ეს ცვლილებები ეხება სპორტის დემოკრატიზაციასა და მისი საორგანიზაციო პრინციპების გაუმჯობესებას, აგრეთვე, რუსული ენის ფედერაციის ოფიციალურ ენად გამოცხადებას.

პრეზიდიუმმა მოისმინა, აგრეთვე, ინფორმაცია სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ ოლიმპიური პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სემინარში, რომელიც ნოემბრის თვეში გაიმართა დუბლინში (ირლანდია).

## ფსიქოლოგი — სპორტსმენის თანაშემწე

სიტყვა „ფსიქოლოგია“ სულ უფრო ხშირად ჟღერს ახლა და იგი ახლოს დგას სიტყვა „სპორტთან“. დიდი შეჯიბრებები — ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატები — ეს ჩინებულად გაწვრთნილი და ძალით პრაქტიკულად თანაბრად მომზადებული სპორტსმენების დუელია. ბრძოლა უჩვეულოდ მძაფრია. გამარჯვების ბედს ხშირად წყვეტს მეათასედი ქულა, წამის მეათედი ან მეასედი, ერთი სანტიმეტრი ან 500 გრამი. სწრაფად იზრდება რეკორდები. ასევე უმოწყალოდ იზრდება საწვრთნელი დატვირთვა. რაც შეეხება „გადაღალვას“ შეჯიბრებაზე, ამის გამო სპორტსმენები დახმარებისთვის ხშირად მიაკითხავენ ხოლმე ფსიქოლოგებს.

დიდი პროგრამა აქვს დასახული სოციალისტური ქვეყნების სპორტის ფსიქოლოგთა სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც 15 დეკემბერს გაიხსნა მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. მის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერები. კონფერენცია გახსნა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. კოლესოვმა. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ე. გერონმა (ბულგარეთი) — სპორტის ფსიქოლოგთა ევროპული ასოციაციის პრეზიდენტმა. მოხსენება „თანამედროვე ნეიროფიზიოლოგია და სპორტი“ წაიკითხა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პ. ანოხინმა.

# ძალოსნობა — 71

ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მეგობრობის თასზე გაისად 9-14 მარტს გაიმართება მოსკოვში. ამ შეჯიბრებას შემთხვევით როდი უწოდებენ „მცირე მსოფლიო პირველობას“. მოსალოდნელია, რომ ამჯერად მოსკოვში ჩამოვა 20 ქვეყნის 100-მდე უძლიერესი ძალოსანი — მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და რეკორდსმენები.

1971 წლის საერთაშორისო შეხვედრების სეზონს საბჭოთა ძალოსნები ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყებენ, როცა პარიზში ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ჟ. ადამსის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში იასპარეზებენ. ვარაუდობენ, რომ საბჭოთა სპორტსმენები გამოვლენ „ბალტიკის თასზე“ ტრადიციულ ასპარეზობაში, რომელიც 6-8 აგვისტოს გფრ-ში გაიმართება.

მაგრამ, რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში ოფიციალური შეჯიბრებები დგას. 20-28 ივნისს სოფიაში ჩატარდება ევროპის 1971 წლის ჩემპიონატი. პერუს დედაქალაქ ლიმაში 18-27 სექტემბერს მსოფლიო პირველობა გაიმართება. საბჭოთა ძალოსნებისთვის მომავალი სეზონის მთავარი მოვლენა იქნება სსრ კავშირის ხალხთა საზაფხულო სპარტაკიადის ტურნირი, რომლის ჩატარებაც ივლისის შუა რიცხვებშია განზრახული.

ჭაბუკ საბჭოთა გოლიათებს ელით ტრადიციული შეჯიბრება „მეგობრობა“, რომელიც ბულგარეთში მოეწყობა აგვისტოში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობით.

1970 წელი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა ახალი მიღწევების მხრივ. საბჭოთა ათლეტების ანგარიშზე უკვე 66 საკავშირო რეკორდი მოდის, რომელთაგან 58 მსოფლიო მიღწევას აღემატება. ეს ალბათ საბოლოო შედეგები არც არის, რადგან დეკემბრის ბოლოს უძლიერესი საბჭოთა ძალოსნები დნეპროპეტროვსკში მოიყრიან თავს, რათა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში ჩაებან.



მოსკოვში, „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში ჩატარდა ამხანაგური მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში ადგილობრივ და სოფიის გუნდებს შორის.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სარბიელზე არიან ი. ვასილევი (სოფია) და ვ. კაზახოვი (მარცხნივ).

# ახალი სეზონის მიჯნასთან

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა მოცურავეებისთვის რეკორდებითა და შეჯიბრებებით არც ერთი სეზონი ისე მდიდარი არ ყოფილა, როგორც მიმავალი წლისა. სსრ კავშირის სპორტსმენებმა 45-ჯერ შეიტანეს შესწორება ქვეყნის რეკორდების ცხრილში. რომელთაგან 4 ევროპულ მიღწევაზე მაღალი იყო. საბჭოთა მოცურავეები ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვიდნენ, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ევროპის ჩემპიონატი გამოდგა. იქ ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა სსრ კავშირის 20 რეკორდი განაახლეს, მაგრამ პირველად, დაუთმეს ლიდერობა გდრ-ის გუნდს.

ეს მოულოდნელი არ იყო. ახლა საბჭოთა ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. თავიანთ მუშაობას ახლებურად წარმართავენ აგრეთვე ცურვის სექციები ადგილებზე. 1970 წელს მოცურავეები და მათი მწვრთნელები მთელი ქვეყნისთვის ერთიანი სისტემით ემზადებოდნენ. ახლა კი ყველა შეჯიბრება, ფიზკულტურის კოლექტივების პირველობებიდან საკავშირო ჩემპიონატებამდე, მკაცრად განსაზღვრულ ვადებში ტარდება. თავდაპირველად სპორტსმენები 25-მეტრიან აუზებში ასპარეზობენ, შემდეგ კი 50-მეტრიან აუზებში გადაინაცვლებენ.

სსრ კავშირის ნაკრების ლიდერთა შორის, როგორც ადრე, ახლაც არიან ოლიმპიური პრიზიორები, ევროპის ჩემპიონები და რეკორდსმენები გ. სტეპანოვა და ნ. პანკინი. მაგრამ ბევრი ვეტერანი მაინც ტოვებს დიდ სპორტს. ამიტომ დებიუტანტები, რომლებიც მზადების პერიოდში შრომისმოყვარეობას, სიბეჯითეს გამოიჩენენ და საგაზაფხულო შესარჩევ სტარტებზე კარგ შედეგებსაც აჩვენებენ, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები გახდებიან და საერთაშორისო შეჯიბრებებში მიიღებენ მონაწილეობას.

ამ შეჯიბრებებით კი 1971 წელი მდიდარია. საბჭოთა მოცურავეები საერთაშორისო სეზონს გახსნიან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე ტრადიციული ტურნირით, რომელიც ოცდამეშვიდედ ჩატარდება საკავშირო მასშტაბით და მეხუთედ — საერთაშორისო მასშტაბით. ეს შეჯიბრება, რომელზეც სტუმრების სარეკორდო რიცხვია მოწვეული (ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყნის წარმომადგენლები) 26-30 მარტს გაიმართება რიგაში.

სსრ კავშირ — გდრ-ის ტრადიციული მატჩები აპრილში მოეწყობა. მოზრდილები ჰალეში იასპარეზებენ, მოზარდები — ტალინში.

აგვისტოში ევროპის მოზარდთა ჩემპიონატი მოეწყობა ჰოლანდიაში. ჩვენი კონტინენტის თასების გათამაშება ჩატარდება ქალებისთვის — ბრატისლავაში, ვაჟებისთვის — სტოკჰოლმში.

სექტემბერში საბჭოთა მოცურავეები მოსკოვში დიდი ბრიტანეთის გუნდს შეხვდებიან.

საკავშირო კალენდრის მთავარი სტარტები ივლისში მოეწყობა (სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პროგრამით).

პ. ხაჩკოვანიანი.

## მოსკოვის V საერთაშორისო...

გუშინ მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, სტარტი აიღო ფიგურისტთა V საერთაშორისო ასპარეზობამ „მოსკოვის ციგურები“. სარბიელზე გამოვლენ 11 ქვეყნის — გდრ-ის, გფრ-ის, იაპონიის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, შვეიცარიის, შვეციის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

ალბათ ყველაზე საინტერესო იქნება წყვილთა სრიალი, სადაც გამოვლენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ი. როდნინა და ა. ულანოვი, ოლიმპიური ჩემპიონები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, აგრეთვე, ევროპისა და მსოფლიოს უკანასკნელ პირველობათა ვერცხლის პრიზიორები ლ. ივანოვა და მ. სურაიკინი.

სპორტულ ცეკვებში მონაწილეთა სიას მეთაურობენ მსოფლიო ჩემპიონები ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

საჩვენებელ გამოსვლებში, რომელიც 20 დეკემბერს გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონი, ჩეხოსლოვაკიელი ო. ნეპალა და უნგრელი ფიგურისტი ქალი, კონტინენტის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ჟ. ალმაში.



საქართველოს მშვილდოსნები ენერგიულად ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის. ამ კომპლექსურ ღონისძიებაში მშვილდოსნობა პირველად შეიტანეს, რაც სპორტსმენებს დიდ ამოცანებს უყენებს. ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები თითქმის მთლიანად ქუთაისელი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წლევანდელი სეზონი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ქ. ლოსაბერიძე ასპარეზობისას.

ა. ჩანტლაძის ფოტო.

# პრიორიტეტი გვავალდებს

ჩვეულებრივად იქცა — დიდი იუბილეს წინ მუდამ იგონებენ განვლილი წლების სასახელო საქმეებს, ლაპარაკობენ სამერმისო გეგმებზე.

ჩემს მეხსიერებას ჩვენი რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის განვითარების ბევრი დეტალი შემორჩა. მახსოვს ბევრი ცნობილი სპორტსმენი, რომელთაც სახელი გაუთქვეს ჩვენს სპორტს, მახსოვს ბევრი შესანიშნავი წამოწყება, რაც სსრ კავშირის მთელი სპორტული მოძრაობის განვითარებას დაედო საფუძვლად.

6 წლის შემდეგ იმ დღიდან, რაც ფიზკულტურასა და სპორტში დავიწყე მუშაობა, ესე იგი, 1934 წელს, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატმა შექმნა პირველთა შორის პირველი საბავშვო სპორტული სკოლა. იმ დროს ეს იყო სპორტული რეზერვების მომზადების სრულიად ახალი ფორმა. ახლა ეს საყოველთაოდ აღიარებული სისტემა დანერგილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

რაც წლები გადის, მსოფლიო სპორტის სარბიელზე ბრძოლას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის შუქზე. ჩვენ ვალდებული ვართ არა მარტო შევინარჩუნოთ მოწინავე პოზიციები საერთაშორისო სარბიელზე, არამედ განვახორციელოთ კიდევ ჩვენი სოციალისტური სისტემის შესაძლებლობები, დავამტკიცოთ მისი აშკარა უპირატესობა სპორტული ტალანტების განვითარებაში.

იზრდება საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა შედეგები და, შესაბამისად, მაღლდება მოთხოვნები სპორტსმენთა თანამედროვე მზადებისთვის აუცილებელი პირობების მიმართ. მათთვის, ვინც სპორტული ოსტატობის მწვერვალებისკენ მიიწევს, აუცილებელი გახდა სპეციალური რეჟიმი ბავშვობის ასაკიდანვე. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზნის მიღწევა არ ხერხდება.

გაჩნდა დროული სპორტული აღზრდის აუცილებლობა, ამასთან, სპორტის თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების დიდი რაოდენობისა წარმოიშვა იდეა, რომ შექმნილიყო სპეციალური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სადაც ერთიან აღმზრდელობით პროცესში შესრულდებოდა როგორც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ისე სპორტული სკოლის წინაშე დასმული ამოცანები. ამ სასწავლებელს უნდა უზრუნველეყო სპორტსმენთა თანამედროვე დონეზე მომზადებისთვის საჭირო აუცილებელი პირობების შექმნა. ამასთან, იგი ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო სპორტული თვალსაზრისით ნიჭიერი ნებისმიერი მოსწავლისთვის მთელი რესპუბლიკიდან.

1958 წელს თბილისში მუშაობა დაიწყო პირველმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატმა სპორტული განხრით. ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სპორტული აღზრდის ერთიანი პროცესის შექმნის იდეის განხორციელებაში, რასაც ადრე თბილისის 35-ე საშუალო სკოლაში ჩაეყარა საფუძველი.

ამ ჩვენმა წამოწყებამ ფართო, საქმიანი აღიარება ჰპოვა სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში და მთელ რიგ დემოკრატიულ ქვეყნებში. კიევში, მინსკში, ბაქოსა და ერევანში, ბალტიისპირეთის ქალაქებში, შუა აზიის რესპუბლიკების დედაქალაქებში ჩვენი მაგალითის მიხედვით დაიწყო სპორტული სკოლა-ინტერნატების მუშაობის ორგანიზაცია. ამ სკოლების მუშაკები გაეცნენ ჩვენს წამოწყებას როგორც თბილისსა და ბაქოში გამართულ სპეციალურ თათბირებზე, ისე სპორტულ პრესაში გამოქვეყნებული მასალების საშუალებით, და ზოგიერთ საკითხში გაგვისწრეს კიდეც. მაგალითად, ორი წლის წინ ჩვენთან სტუმრად მყოფმა უკრაინის სპეციალური სპორტული სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ნკლინმა გვითხრა, რომ კიევში უკვე შეუდგნენ სპეციალური კომპლექსის მშენებლობას, რომელიც ყველა თვალსაზრისით უპასუხებს ახალი ტიპის სპორტული სკოლის მოთხოვნებს.

3 წლის წინ საზღვარგარეთიდანაც გვესტუმრნენ სპეციალისტები. ჩვენი გამოცდილება დეტალურად შეისწავლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, განათლების სამინისტროს ინსპექტორმა, ახლახან კი გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ წერილით „სუპერმოდერნის ბატონ-პატრონები“ გვამცნო, რომ სოფიაში სპორტულ ინტერნატს გადაეცა 15-სართულიანი „სუპერმოდერნიზებული“ შენობა, და რომ იქ ყველა პირობაა შექმნილი ბულგარეთის ნორჩ სპორტსმენთა სათანადოდ მომზადებისთვის.

როგორც ცნობილია, ჩვენმა მეგობრებმა და მეტოქეებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ბოლო წლებში განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. გდრ-ში სპორტული რეზერვების მომზადება ხდება სტაციონალურ ზოგადსაგანმანათლებლო სპორტსკოლებში. წლეულს სექტემბერში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1971 წლის 1 სექტემბრიდან სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში შეიქმნას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატები სპორტული პროფილით. ამ სკოლებში მოსწავლეები გათავისუფლებული იქნებიან სწავლის გადასახადისგან. 20 პროცენტით გაიზრდება კვების რაციონის ღირებულება. გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი უპირატესობანი ამ სკოლების აღსაზრდელებისთვის. მთავრობის ეს გადაწყვეტილება ახალი ტიპის სპორტული სკოლების ორგანიზაციის საკითხში ჩვენი რესპუბლიკის თაოსნობის ახალ აღიარებას წარმოადგენს.

როგორღაა საქმე ჩვენთან, ამ წამოწყების ინიციატორებთან? წლეულს ჩვენს ინტერნატში გაუმჯობესდა აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება და კვება. უნდა დამთავრებულიყო 144-მეტრიანი მძლეოსნური მანეჟი, რომელიც საუკეთესო იქნება ჩვენს რესპუბლიკაში. შედგა სპორტული დარბაზის მშენებლობისა და თანამედროვე რეზინ-ბიტუმის საფარით აღჭურვილი მძლეოსნური სტადიონის კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვა.

ჩვენი სკოლა რესპუბლიკის იუბილეს ბოლო წლებისთვის მოსწავლეთა შედარებით უკეთესი შემადგენლობით ხვდება. ეს განსაკუთრებით ითქმის მძლეოსან გოგონებზე. ამ მხრივ კი ჩვენ ყველაზე მეტად გვიჭირს.

როგორია ჩვენი სკოლის წარმატებები სპორტული რეზერვების მომზადებაში ბოლო ერთი წლის მანძილზე? მოკავშირე რესპუბლიკების ფიზკულტურული მუშაობის შეფასებისას სპორტულმა პრესამ შემოიღო ტერმინი — მარგი ქმედების კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი სპორტსმენთა მიერ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მოპოვებული შედეგების მიხედვით გამოჰყავთ.

თუ ვიმსჯელებთ იმ სპორტსმენთა რიცხვის მიხედვით, რომლებიც ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა რაზმს შემატეს, აგრეთვე, იმ სპორტსმენთა რიცხვით, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობებში, ამ სკოლების სპორტული ჯგუფების რიცხვთან შეფარდებით, მაშინ ჩვენი სკოლა-ინტერნატის მარგი ქმედების კოეფიციენტი საქართველოს ყველა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის კოეფიციენტზე მაღალი აღმოჩნდება. ჩვენს სკოლაში ფეხბურთსა და მძლეოსნობაში 9-9 ჯგუფი მუშაობს. ეს საქართველოს მოზარდთა სპორტულ ჯგუფებზე 4 პროცენტზე ნაკლებია პირველ და 2 პროცენტზე ნაკლები — მეორე სახეობაში.

„იმედის თასის“ მფლობელი საქართველოს ნაკრები გუნდის ღირსებას წლეულს იცავდა ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე — კ. ჯოჯუა და ვ. კოპალეიშვილი. ჩვენი აღსაზრდელი ო. ბერულავა სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების სახელით გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებაში.

თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდში ბოლო წლის მანძილზე შეიყვანეს სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები ფ. რეხვიაშვილი, თ. ჯავახიშვილი და ო. ბერულავა. ამ სკოლის 24 სხვა აღსაზრდელი საქართველოს ოსტატ ფეხბურთელთა სხვადასხვა გუნდში გამოდის.

მხოლოდ 3 წელია და კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მხოლოდ ორ ჯგუფთან მუშაობს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ვ. მაისურაძე. მაგრამ ჭაბუკთა ბოლო რესპუბლიკურ პირველობაში მისმა სამმა აღსაზრდელმა — სკოლა-ინტერნატის სამმა მოსწავლემ მოიპოვა გამარჯვება. წარმატებას ისიც უწყობს ხელს, რომ ჩვენს მოჭიდავეებს კარგად მოწყობილი სპორტული დარბაზი აქვთ.

ჯერჯერობით დაბალია ველოსიპედისტთა შედეგები. ბოლო ერთი წლის მანძილზე ჩვენი სკოლის მხოლოდ თითო ველოსიპედისტმა დაიკავა II ადგილი საქართველოს ჭაბუკთა პირველობაში და მოსწავლეთა სპარტაკიადაში. მათ წვრთნისთვის ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი პირობები აქვთ. უამინდობის დროს ვარჯიშს ველარსად ახერხებენ, ველოტრეკზე წვრთნაზე კი, რამაც ჩვენს აღზრდილს ო. ფხაკაძეს საშუალება მისცა მსოფლიო ჩემპიონი გამხდარიყო, უტრანსპორტობის გამო დღევანდელ ჩვენს აღსაზრდელებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ.

განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა საქართველოში მაღალი კვალიფიკაციის მძლეოსანთა მომზადების მხრივ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ მესტიელმა ცისანა ჯაფარიძემ, მახარაძელებმა თ. მდინარაძემ და ლიუდმილა გუკმა, აგრეთვე, თბილისელმა ი. ფხაკაძემ გადალახეს ოსტატობის ზღვარი „სპორტის დედოფლის“ სახეობებში. პირველი ორი ჩვენი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელია. სსრ კავშირის ჭაბუკ მძლეოსანთა პირველობაში წლეულს საქართველოდან გაიმარჯვა მხოლოდ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულმა ნ. აბუაშვილმა.

რატომ ვერ ვამზადებთ უფრო მეტი რაოდენობით კარგ სპორტსმენებს? მთავარი ის არის, რომ ძირშივე მოჭრილია გზა, რომლის მეოხებითაც ჩვენმა სკოლამ საიმედო შევსება უნდა მიიღოს. პერიფერიებში, ძირითადად სოფლის სკოლებში, 1958 წელს ჩამოყალიბდა განათლების სამინისტროს სპორტსკოლის ფილიალების ჯგუფები. მაგრამ ამ ჯგუფების მწვრთნელთა ძირითად მოვალეობას უმეტესად შეადგენდა მოსწავლეთა წინასწარი მომზადება და მათგან საუკეთესოების სპორტულ ინტერნატში გაგზავნა. რამდენიმე წლის შემდეგ ყველა ეს ჯგუფი ხელახლა გახსნილ რაიონულ სპორტულ სკოლებს გადაეცა. მასწავლებლებმა არამარტო მატერიალური დაინტერესება დაკარგეს, რომ ნიჭიერი მოსწავლეები გაეგზავნათ სპორტულ სკოლა-ინტერნატში, სადაც მძლეოსნების სპეციალისტებიც მუშაობენ და საუკეთესო პირობებიცაა შექმნილი სრულწლიური წვრთნისა და სპეციალური რეჟიმისთვის. ისინი დაინტერესებული იყვნენ, რომ თავიანთ ჯგუფებში შეენარჩუნებინათ სპორტსმენები, რომელთაც თანრიგების შესრულება შეეძლოთ, რადგან ეს მწვრთნელთა მუშაობის ერთგვარ გამოხატულებად ითვლება.

მაგრამ როგორია ეს შედეგები?

რაიონების სპორტული სკოლების 200-ზე მეტმა ჯგუფმა თვითონ მოამზადა მხოლოდ 5 ნორჩი მძლეოსანი, რომლებმაც მოსწავლეთა წლევანდელ სპარტაკიადაში II თანრიგის შესრულება შეძლეს. მათ შორის არიან ნიჭიერი მოსწავლეებიც, რომლებიც შესაბამისი სრულწლიური წვრთნის შედეგად I თანრიგსაც მიაღწევდნენ. მაგრამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ჩატარებულ რა სრულწლიურ წვრთნაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა რაიონებში არა მარტო მძლეოსნური მანეჟი არა აქვთ, არამედ დროსაც ვერ პოულობენ დარბაზში წვრთნისთვის?

სპორტული სკოლის ფილიალების მოსამზადებელი ჯგუფების მუშაობას, რაც, სხვათა შორის, ასევე ჩვენი რესპუბლიკის თაოსნობაა, წარსულში ფორმალური საფუძველი არ ჰქონდა. წლევანდლიდან ასეთი ჯგუფების ორგანიზაცია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ახალი ტიპიური დებულებითაა გათვალისწინებული. ეს ჯგუფები წარმატებით მუშაობენ სხვა რესპუბლიკებში და თანდათან უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭენ. ჩვენს რესპუბლიკაში კი, რომელიც ამ ფორმის ფუძემდებელიც გახლავთ, ჯგუფები ლიკვიდირებულია.

უნდა გავიხსენოთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა 1963 წლის სპარტაკიადის მოზარდთა შეჯიბრებაში საქართველოს მძლეოსან გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრებმა საერთო VI ადგილი დაიკავა. ჭაბუკებმა კი მოსკოველები ჩამოიტოვეს და IV ადგილზე გავიდნენ. იმ წელიწადს საქართველოს კოლექტივში სპორტული სკოლა-ინტერნატის 14 აღსაზრდელი გამოდიოდა.

ამ წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო სოფლის სკოლებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების მუშაობა, აგრეთვე, ამ სკოლების ხარისხიანი მასობრივი შეჯიბრებები მძლეოსნობაში. ჩვენი თაოსნობა სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაციამ ფართოდ დანერგა სხვა რესპუბლიკებში, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციაში. ჩვენში კი ეს ღონისძიებები თანდათან სულ უფრო ცუდად ტარდება.

1960 წელს პირველობები რესპუბლიკის 42 რაიონში გაიმართა, წლევანდელ სეზონში — 24 რაიონში. რაც მთავარია, ასპარეზობა უმეტესად ფორმალურად ტარდება. ბევრი სკოლა შეჯიბრებებში საერთოდ არ მონაწილეობს. ეს განსაკუთრებით ეხება რაიონული ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებს, საიდანაც წარსულში საუკეთესო მოწაფეებს ვიღებდით.



თუ 1960-1961 წლებში ასეთი პირველობები შაბათ-კვირას ტარდებოდა, ბავშვებს დასვენების საშუალებაც ჰქონდათ და კვებაც, ახლა საქმე გამარტივდა: მოუყრიან თავს 100 ან 100-ზე მეტ ნორჩ სპორტსმენს, რა სახეობებშიც მოასწრებენ, გამართავენ შეჯიბრებას და უჭმელ-უსმელ, დაღლილ-დაქანცულ ბავშვებს უშვებენ შინ. ასეთმა მოქცევამ ბავშვებს შეიძლება საერთოდ შეაძულოს შეჯიბრებებში მონაწილეობა.

კი მაგრამ, რატომ ხდება ეს, თანხები არ გვყოფნის? არა. ამის მიზეზია არა თანხები, არამედ საქმისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულება.

რაიონული პირველობების სკოლებს შორის ჩატარება და მათი მატერიალური უზრუნველყოფა მთავარი რგოლია, სადაც ნიჭიერი მოწაფეები ვლინდებიან. ეს საქმე დებულებით „კოლმეურნეს“ აქვს დავალებული, მაგრამ ისეთ მდიდარ რაისაბჭოშიც კი, როგორიც მახარაძის საბჭოა (თავმჯდომარე კ. გოგატაძე), არ სურთ რაღაც 150-200 მანეთი დახარჯონ ამ საქმისთვის. აუცილებელია აღინიშნოს, რომ „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭო თანხის მხრივ არავითარ დაბრკოლებას არ უქმნის რაისაბჭოებს.

საქმე ისაა, რომ დღემდე არავისთვის მოუთხოვიათ პასუხი რესპუბლიკისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩაშლის გამო, კეთილსინდისიერება კი ყველას როდი ჰყოფნის.

იუბილეს წინ საზოგადოდ მიღებულია მოპოვებულ მიღწევებზე და პერსპექტივებზე ლაპარაკი. ჩვენ მოპოვებული წარმატებებიც გვაქვს და პერსპექტივებიც. ასეა იმ საქმეშიც, რომელსაც დღევანდელი წერილი ეძღვნება. მაგრამ ჩვენ სპორტული ტალანტების გამოვლენის ახალი გზის თაოსნები, ვალდებული ვართ უფრო სწრაფად და უფრო კარგად განვახორციელოთ ეს ღონისძიებები.

საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის პირველი ასწლეულის მეორე ნახევარში შედის. ეს კიდევ მეტი და მნიშვნელოვანი სპორტული წარმატებით უნდა აღინიშნოს. საამისოდ ჩვენი თაოსნობაც საქართველოში იმაზე ცუდად არ უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკები იყენებენ.

**ბ. ტახტაროვი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

# სწავლაშიც მოწინავენი

კარგი ფიზკულტურული კოლექტივი ჰყავს შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ეს სასწავლებელი მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევებით ეგებება სახელოვან თარიღს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. „ლელოს“ ბათუმელი კორესპონდენტი ო. მურვანიძე შეხვდა ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგეს ბ. მენაბდეს და სთხოვა მას რამდენიმე შეკითხვაზე გაეცა პასუხი.

● „ლელოს“ მკითხველებისთვის საინტერესო იქნება უამბოთ თქვენი ინსტიტუტის სპორტულ ტრადიციებზე.

— ჩვენს ინსტიტუტს 35 წლის ისტორია აქვს. იმთავითვე ჩაეყარა საფუძველი სპორტულ ტრადიციებსაც. მაგრამ საქმე განსაკუთრებით 1947 წლის შემდეგ წავიდა წინ, რაც ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი გაიხსნა. ამ ფაკულტეტმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ათეული პედაგოგი აღზარდა, რომლებიც ამჟამად წარმატებით შრომობენ საქართველოს სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში. დავასახელოთ მათგან ლოლა გოგიბერიძე, თამარ დოლიძე, ვენერა ჩხილაძე, ზ. ჯორბენაძე, ს. ქარჩავა, გ. ჩავლეიშვილი, ვ. მეავია, ვ. კოზირძე, ი. ჭანტურიშვილი, ლიუბა დოლჟენკო, რ. ბასილია, ი. ხალვაში, ა. გიორგაძე, გ. ჭყოიძე... კურსდამთავრებულთაგან ბევრი წარმატებით მუშაობს მწვრთნელად. მაგალითად, კ. გუგუშვილი საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელია მაგიდის ჩოგბურთში, გ. თარგამაძე აჭარის ძალოსნობის ფედერაციის თავმჯდომარეა, ა. გაბრიაძე აჭარაში ტანვარჯიშის უფროსი მწვრთნელია, გ. ერქომაიშვილი მახარაძეში ხელმძღვანელობს მძლეოსნობის საქმეს, ყველა მათგანი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელია.

ყოფილი მძლეოსანი ზ. მამუჭაძე ამჟამად აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეა, ყოფილი კალათბურთელი რუსუდან ჩახვაძე ხელვაჩაურის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეა, ფეხბურთელი რ. მეტრეველი ფეხბურთის სკოლის დირექტორია, შ. კიღურაძე მახარაძეში „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ მუშაობს.

1957 წელს ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი დაიხურა, მაგრამ 1968 წელს ისევ გაიხსნა და კვლავ გაჩაღდა მუშაობა.

● რა გავლენა მოახდინა ფაკულტეტის ხელახლა გახსნამ სტუდენტთა სპორტულ ცხოვრებაზე?

— ამაღლდა სპორტული მაჩვენებლები, გაიზარდა სექციათა რიცხვი. თუ რამდენიმე წლის წინათ მძლეოსნობაში, ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობაში ჩამოვრჩებოდით, ახლა, პირიქით, სწორედ ეს სახეობებია ძირითადი. მაგალითად, საქართველოს სტუდენტთა V უნივერსიადაში მაგიდის ჩოგბურთელებმა II საპატიო ადგილი მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ მოცურავეებიც; ძალოსნები კი III ადგილს დასჯერდნენ.

ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ მონდომებით იმუშავა, რომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოწინავეთა შორის ყოფილიყო. შედეგიც სასურველი მივიღეთ: კათედრამ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშა და I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ახლა ჩვენი 600-მდე სტუდენტი „ბურევესტნიკის“ წევრია. აქედან 400 თანრიგოსანია. კარგად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ცურვის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, თავისუფალი, კლასიკური და ქართული ჭიდაობის, სამბოს, მხატვრული ტანვარჯიშისა და მშვილდოსნობის სექციები.

● როგორ ემზადებიან სტუდენტი სპორტსმენები სპარტაკიადისთვის?

— ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა კარს მოგვადგა, ახალი ძალით გაჩაღდა სპორტული მუშაობა. დაიწყო საინსტიტუტო სპარტაკიადა ათ სახეობაში. ჩვენი სასწავლებლის 35 სპორტსმენი აჭარის ნაკრებშია შეყვანილი. ისინი საქართველოს V სპარტაკიადაში იასპარეზებენ.

ახალი წლიდან დაიწყება ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობა. აიგება ახალი, თანამედროვე ტიპის სპორტდარბაზიც.

ფიზკულტურული საქმიანობის გაუმჯობესებით დაინტერესებული არიან სასწავლებლის ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. უფრო მეტიც, სექციებში ჩაბმული არიან ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ო. ბაკურაძე, პარტბიუროს მდივანი ჭ. გოგმაჩაძე და კომკავშირის კომიტეტის მდივანი დარეჯან მეგრელიშვილი.

ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის სტუდენტები აკადემიური მიღწევების მხრივ ინსტიტუტში I ადგილზე არიან. გვჯერა, რომ სტუდენტი სპორტსმენები წარმატებით შეხვდებიან საბჭოთა საქართველოს სახელოვან იუბილეს, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





## „ვარძია“ და „ივერია“ — პირველ ჯგუფში

საქართველოს საფეხბურთო სეზონში წლეულს დიდ წარმატებას მიაღწიეს ასპინძისა და ხაშურის ფეხბურთელებმა. ასპინძის „ვარძიამ“ I ადგილი დაიკავა II ჯგუფის რესპუბლიკური გათამაშების I ზონაში, ხოლო ხაშურის „ივერიამ“ გაიმარჯვა II ზონის გუნდებს შორის. ორივე კოლექტივმა უფლება მოიპოვა გაისად ითამაშოს I ჯგუფში.

სურათებზე: ასპინძის „ვარძია“ (მარცხნივ) და ხაშურის „ივერია“.

# განუშორებელი ცნება

კარგია თუ ცუდი, როცა წინასწარ დარწმუნებული ხარ ძლიერი სპორტსმენის გამარჯვებაში? თუ ეს სპორტსმენი, ამ შემთხვევაში მოფარიკავე, მთელი თავით მაღლა დგას მეტოქეებზე. ამაში თითქოს არაფერი უნდა იყოს საკვირველი. და მაინც, დამეთანხმებით, სპორტულ ასპარეზობას ერთი რომელიმე ათლეტის ასეთი აშკარა უპირატესობა საგრძნობლად უკარგავს ელფერს.

მხედველობაში გვაქვს რესპუბლიკის ჩემპიონატი ფარიკაობაში, სადაც რაპირისტთა შეჯიბრებაში ნოდარ ჩიტიშვილი იოლად გაუსწორდა ჩემპიონობის პრეტენდენტებს. იგი ყოველმხრივ ჯობდა მეტოქეებს. მისი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება სანიმუშო დონეზეა. აი, ვისგან უნდა ველოდოთ წარმატებებს საკავშირო ასპარეზზეც.

საინტერესოა, როგორ მოახერხა ჩიტიშვილმა ასე სწრაფად და დამაჯერებლად დაწინაურება? ნოდარი ნიჭიერი სპორტსმენი რომ არის, ეს ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ეს პერსპექტიული მოფარიკავე წინა წლებში გაურბოდა ინტენსიურ ვარჯიშს. გადიოდა დრო, მაგრამ ჩიტიშვილი ერთ ადგილს ტკეპნიდა. არ ვიცით, როგორ მოახდინა მასზე ზემოქმედება მწვრთნელმა შ. დარასელიამ, მაგრამ ბოლო ხანებში ნოდარი სავსებით გარდაიქმნა. ახლა იგი ძალზე სერიოზულად ვარჯიშობს და თითქმის მთელ თავისუფალ დროს საფარიკაო დარბაზში ატარებს. სამწუხაროდ, მისი უახლოესი მეტოქეები დღესდღეობით „ძველ“ ჩიტიშვილს ჰგვანან. უსიამოვნო მოვალეობაა, მაგრამ ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა შევახსენოთ რაპირისტ ვაჟებს, რომ სპორტული კლასის ამაღლება და ნაყოფიერი ვარჯიში განუშორებელი ცნებაა.

ჩიტიშვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა „სოფლმშენსახპროექტის“ ინჟინრად მუშაობს, ეს საქმე ბევრ დროსართმევს, მაგრამ სპორტში გულმოდგინედ ვარჯიშობს. ამ მხრივ იგი მისაბაძია სხვებისთვის.

II ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი, საქართველოს მარშანდელი ჩემპიონი ვ. მათითაშვილი. ეს ჩემპიონატი ვერ დაამშვენებს ვახტანგის სპორტულ ბიოგრაფიას. საქმე ის კი არ არის, რომ იგი შეელია უძლიერესის სახელს, არა, მათითაშვილმა უკან დაიხია თავის ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაში. ეს, ალბათ, არასაკმარისი შრომისმოყვარეობით არის გამოწვეული.

როგორც სპორტული, ასევე შე-

## რესპუბლიკური ჩემპიონატი ფარიკაობაში

მოქმედებითი თვალსაზრისით კმაყოფილი უნდა იყოს 17 წლის მოფარიკავე დ. გოგნიაშვილი. მართალია, ოსტატობის მხრივ ლიდერსა და მას შორის საგრძნობი სხვაობაა, მაგრამ დასაწყისისთვის გოგნიაშვილის III ადგილი კარგ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გოგნიაშვილი გამოირჩევა სალი ტაქტიკური აზროვნებით, რაც მწვრთნელის თ. ტროფიმოვასა და მისი მოწაფის ნაყოფიერ შრომაზე მიგვითითებს.

დიდი სურვილი გვქონდა რაპირისტთა ასპარეზობის მონაწილე სპორტსმენთაგან გამოგვეყო ნიჭიერი, იმედის მომცემი ახალგაზრდა მოფარიკავეები. სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი მომავლისთვის უნდა შემოვინახოთ...

პრესაში შედარებით იშვიათად წერენ ჩვენი მოფარიკავე ქალების შესახებ. საწყენი კია, რადგანაც რაპირისტი ქალები სპარტაკიადაში მონაწილეობენ და მათს მზადყოფნაზე ბევრად არის დამოკიდებული მოფარიკავეთა საერთო გუნდური წარმატება. როცა ქართული საფარიკაო სკოლის დაქვეითებაზე ვლაპარაკობთ, ამაში ქალებსაც მიუძღვით ბრალი. მას შემდეგ, რაც სარბიელი დატოვეს ცნობილმა მოფარიკავე ქალებმა ჯ. გიორგაძემ და რ. კეკელიამ, წარმატებებმაც საგრძნობლად იკლო. საიმედოდ გვეგულებიან მხოლოდ მ. კოხრეიძე, დ. ლორთქიფანიძე და... სამწუხაროდ, მეტი არავინ.

რესპუბლიკის ჩემპიონობა ეს უკვე მერამდენედ მოიპოვა მ. კოხრეიძემ. სპორტის მოყვარულები ახალ ჩემპიონს იცნობენ, როგორც გამოცდილ მოფარიკავეს, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ხალხთა წინა სპარტაკიადებში. იმედია, მაუვალა ამჯერადაც კარგად მოემზადება მომავალი სპარტაკიადისთვის. ისღა დაგვრჩენია, რომ საქართველოს ნაკრები გუნდის დანარჩენ წევრებს ვუსურვოთ მხარი აუბან თავიანთ აღიარებულ ლიდერს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსაკუთრებით დაბალია ჩემპიონატში საპრიზო ადგილების მიღმა დარჩენილი სპორტსმენების კლასი (საქართველოს ქალთა ნაკრებ გუნდში 5 მოფარიკავე გამოდის). პირველობაში II და III ადგილები დაიკავეს ხ. სვანიძემ და დ. ლორთქიფანიძემ.

და კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით: წლევანდელი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, ძალზე შემაშფოთებელი მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ასპარეზობის ყველა სახეობაში პრიზიორები მხოლოდ თბილისელი მოფარიკავეები გახდნენ. ასეთი რამ თითქმის არ ახსოვს ქართული ფარიკაობის ისტორიას. რესპუბლიკის ფარიკაობის ფედერაციამ საგანგებოდ უნდა გაამახვილოს ყურადღება ამ საჭირბოროტო საკითხის მოსაგვარებლად.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

---

*კალათბურთი*

## სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი
# ორი მატჩი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**ტარტუ.** ადგილობრივმა „კალევმა“ უმასპინძლა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს კაუნასის „ჟალგირისს“. ესტონელთა უპირატესობა აშკარა იყო — 97:77.

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ ჩაატარა გამოტოვებული მატჩი რიგის ვეფ-თან. გაიმარჯვეს არმიელებმა — 89:71.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი**

მდგომარეობა 16 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 7 | 6 | 1 | 472—408 | 6 |
| ცსკა | 6 | 5 | 1 | 454—407 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 5 | 4 | 1 | 422—397 | 4 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 6 | 4 | 2 | 472—458 | 4 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 7 | 3 | 4 | 548—517 | 3 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 6 | 3 | 3 | 456—448 | 3 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 6 | 3 | 3 | 396—399 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 6 | 3 | 3 | 456—473 | 3 |
| ასკ (კიევი) | 7 | 2 | 5 | 482—510 | 2 |
| ვეფ (რიგა) | 7 | 2 | 5 | 535—588 | 2 |
| ასკ (რიგა) | 5 | 1 | 4 | 329—365 | 1 |
| რტი (მინსკი) | 6 | 1 | 5 | 382—424 | 1 |

# კენჭისყრა შედგა

**მიუნხენი.** გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური მატჩების კენჭისყრა. სსრ კავშირის ჩემპიონთან ცსკა-სთან ჯგუფში მოხვდნენ: „რეალი“ (ესპანეთი), „აკადემიკი“ (ბულგარეთი) და „სტანდარტი“ (ბელგია). მეორე ჯგუფში გაერთიანებული არიან: „ოლიმპია“ (იუგოსლავია), „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი), „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია) და „ინისი“ (იტალია).

საბჭოთა კალათბურთელების მეოთხედფინალური მატჩების გრაფიკი ასეთია: „რეალთან“ — 14 და 21 იანვარს, „აკადემიკთან“ — 28 იანვარს და 4 თებერვალს, „სტანდარტთან“ — 11 და 18 თებერვალს.

მოეწყო აგრეთვე ქალთა ტურნირის კენჭისყრა. პირველ ჯგუფში ასპარეზობენ: ტტტ (რიგა), „კლერმონი“ (საფრანგეთი), „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია), მეორეში — „ვისლა“ (პოლონეთი), „აკადემიკი“ (ბულგარეთი) და „სესტო“ (იტალია). ტტტ „კლერმონთან“ 14 და 21 იანვარს ითამაშებს, „სლავიასთან“ კი 11 და 18 თებერვალს.

ვაჟთა ჯგუფურ ტურნირებში გამარჯვებული 2-2 კოლექტივი ნახევარფინალში დაწყვილდებიან. 25 მარტსა და 1 აპრილს ჩატარდება ნახევარფინალები, ფინალური მატჩი 8 აპრილს გაიმართება. ქალებთან ჯგუფებში გამარჯვებული კოლექტივები პირდაპირ 2 ფინალურ შეხვედრას ჩაატარებენ. პირველი შედგება 8 აპრილს, მეორე — 15 აპრილს.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ვაჟებში საპატიო ჯილდოს „ინისი“ ფლობს, ქალებში — ტტტ.

---



**ზუგდიდი**

სამ ზონად ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა ფეხბურთში. ზონებში I-II ადგილებზე გასულმა გუნდებმა ინგურქაღალდკომბინატის სტადიონზე გამართულ ფინალურ ტურნირში ითამაშეს. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ზედა ეწერის მეურნეობატექნიკუმისა და სოფ. ახალკახათის გუნდები. I ადგილი და გარდამავალი თასი წილად ხვდათ ახალკახათელებს. ამ გუნდმა პირველად ითამაშა ასეთ დიდ შეჯიბრებაში და წარმატებით აღნიშნა თავისი დებიუტი.

ფ. კოკაია.

---

*ანგარიშგება - არჩევნები*

# მოწინავეთა ხარჯზე

გაიმართა „განთიადის“ ზუგდიდის საქალაქო საბჭოს კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ჭურღულია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ენგურქაღალდკომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მ. ნაჭყებიამ, კაშხალმშენის საქართველოს ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ა. ზამბახიძემ, ძალოვანი კვანძის სამმართველოს ფიზკულტურის ინსტრუქტორმა რ. კახიძემ, ჩაის საწნეხი ფაბრიკის ფიზკულტურის ინსტრუქტორმა ნ. ჭურღულიამ და სხვ.

მომხსენებელმა და დელეგატებმა ილაპარაკეს როგორც მიღწევებზე, ისე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. მათ აღნიშნეს, რომ კარგად მუშაობენ ენგურჰესის, ენგურქაღალდკომბინატის, მექანიკური კომბინატის, ჩაის საწნეხი ფაბრიკის კოლექტივები. „განთიადის“ საქალაქო საბჭომ წარმატებით გაანაღდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები, ქალაქში ფართოდ დაინერგა მშრომელთა გაჯანსაღების ღონისძიებანი...

მაგრამ ითქვა ისიც, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა მძლეოსნობის, ჭიდაობის, ცურვის განვითარებას.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება.

„განთიადის“ ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ვ. ჭურღულია აირჩიეს.

კ. ფიფია.

ზუგდიდი.

# ლიუდმილა ტურიშჩევას წელიწადი



ლ. ტურიშჩევა

როგორც ვწერდით, 18 წლის გროზნოელი სტუდენტი, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ლ. ტურიშჩევა წლეულს მსოფლიოს სპორტსმენ ქალთა შორის საუკეთესო სპორტსმენადაა აღიარებული. — ასეთია სააგენტოს სპორტული რედაქციის ტრადიციული ანკეტის შედეგი.

საყოველთაო აღიარებისკენ გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. წლეულს მაისში სსრ კავშირის ჩემპიონატში ლიუდმილა თავისუფალი ვარჯიშის შესრულების დროს შეცდა, როცა გამარჯვებას თითქმის ალაღაფერი უკლდა. აგვისტოში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში მას დვირზე მარცხმა დააკარგვინა გამარჯვება.

— ალბათ კარგი თვისებაა, რომ წარსულ წარმატებასა და წარუმატებლობას ძალიან მალე ვივიწყებ. — უთხრა ტურიშჩევამ ლიუბლიანის მსოფლიო პირველობაში გამარჯვების შემდეგ სააგენტოს კორესპონდენტებს. — ვფიქრობ მხოლოდ დღევანდელ ბრძოლაზე.

ბავშვობაში ლიუდმილას ცეკვა უყვარდა და დედამ ქორეოგრაფიულ წრეში ჩააბა. შემდეგ მან ცეკვას ტანვარჯიშულ სექციაში ვარჯიშიც შეუთავსა. გაიმარჯვა სპორტმა. ტურიშჩევა 6 წელია ვ. რასტოროცკისთან— ტანვარჯიშის დიდ სპეციალისტთან და ენთუზიასტთან მეცადინეობს. მწვრთნელს ნელა, მაგრამ დამაჯერებლად მიჰყავდა თავისი მოწაფე მწვერვალისკენ. და მიაღწია კიდეც მიზანს.

დიდი ტანვარჯიშში დიდ შრომისმოყვარეობასა და უამრავ დროს მოითხოვს. საწვრთნელმა მეცადინეობებმა, შეჯიბრებებმა, მოგზაურობამ ლიუდმილას ხელი ვერ შეუშალა, რომ წლეულს ფრიადებზე დაემთავრებინა საშუალო სკოლა და პედაგოგიურ ინსტიტუტში შესულიყო.

ახლა კვლავ ანკეტას დავუბრუნდეთ. ლიუდმილა ტურიშჩევამ ამ ანკეტით 88 ქულა მოაგროვა.

II ადგილი დაიკავა ცნობილმა ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა მ. სმით-კურტმა — 72 ქულა. წინა სეზონში მან მოიგო ინგლისის, ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები.

68 ქულით III ადგილზეა მორბენალი ჩი ჩენი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს. მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე რბენაში — 22,4, მსოფლიო რეკორდები გაიმეორა 100 მეტრზე რბენასა და თარჯრბენში.

მეოთხე და მეხუთე საფეხურები 58-58 ქულით დაიკავეს ასევე მძლეოსნობის წარმომადგენლებმა — იამაიკელმა მ. ნეფვილმა და ჰ. როზენდალმა (გფრ). პირველმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში, — 51.0, მეორემ—სიგრძეზე ხტომაში 684 სმ.

გდრ-ის წარმომადგენელმა, 16 წლის მოსწავლემ ბ. ვეცკომ ბარსელონის ევროპულ ჩემპიონატში ყველას აჯობა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და ორჯერ მიიღო ოქროს მედალი ესტაფეტების შემდეგ. სპორტულმა ჟურნალისტებმა მას 57 ქულა მისცეს, რის შედეგადაც VI ადგილზე გავიდა.

ვეცკოს თანამემამულემ — მსოფლიო ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში გ. ზაიფერტმა 52 ქულით VII ადგილი დაიკავა.

„მსოფლიო თასის" მფლობელი, ფრანგი სამთომთხილამურე მ. ჟაკო 41 ქულით VIII ადგილზეა.

IX ადგილზე გავიდა ამერიკელი დ. მაიერი, რომელმაც გასულ სეზონში მსოფლიო რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.24,3.

X ადგილი გაიყვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, მსოფლიო ჩემპიონმა ცხენოსნობაში (გაწვრთნა) მოსკოველმა ე. პეტუშკოვამ და მსოფლიო ჩემპიონმა ფარიკაობაში, მოსკოველმა ბ. გოროხოვამ.

პეტუშკოვა ერთადერთია ათეულში შესული სპორტსმენებიდან, რომელმაც გაიმარჯვა ჩემპიონატში, სადაც ვაჟები და ქალები ერთდროულად მონაწილეობდნენ. როგორც ჩანს, სწორედ ამისთვის მისცა მას მონღოლეთის სააგენტოს (მონცამე) მიმომხილველმა 10 ქულა.

ტრადიციისამებრ, მსოფლიოს 10 საუკეთესო სპორტსმენი ქალის სია მამაკაცებმა შეადგინეს. ესენი იყვნენ შემდეგი სააგენტოების მიმომხილველები: აჯერპრესი (რუმინეთი) — ი. გოგა, ანსა (იტალია) — ვ. ენრიკო, აპი (აშშ) — უ. გრიმსლეი, ადნ (გდრ) — რ. ლინგოტი, ბტა (ბულგარეთი) — კ. ზახარინოვი, კიოდო ცუსინი (იაპონია) — ტ. ოკუტო, მონცამე (მონღოლეთი) — ბ. ო. ზორიგტი, მტი (უნგრეთი) — დ. ვეგი, პაპი (პოლონეთი) — ვ. ერუბიკი, პრენსა ლატინა (კუბა) — რ. აგასინო, რეიტერი (ინგლისი) — დ. ფრიმენი, ტანიუგი (იუგოსლავია)— მ. მილანოვიჩი, ფინეთის დეპეშათა ბიურო — ტ. იარასმაა, ფრანს პრესი (საფრანგეთი) — დ. როშე, ჩტკ (ჩეხოსლოვაკია) — კ. ბურეში, იუპი (აშშ) — მ. ხიუჯესი, სააგენტოს — ვ. დვორცოვი.

შარშან ანკეტაში მოხსენიებული იყო 34 სპორტსმენი, წლეულს — 47. საბჭოთა სპორტსმენებიდან ანკეტაში დასახელებული იყვნენ, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონი ციგურაობაში ნ. სტატკევიჩი, მსოფლიო ჩემპიონი საავიაციო სპორტში ს. სავიცკაია, მსოფლიო ჩემპიონი ბაიდარებით ნიჩბოსნობაში ლ. პინაევა, ევროპის ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში ზ. რუდნოვა, მსოფლიო რეკორდსმენი ბირთვის კვრაში ნ. ჩიჟოვა, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონები სათხილამურო სპორტში გ. კულაკოვა და ა. ოლიუნინა, მსოფლიო რეკორდსმენი საციგურაო სპრინტში ტ. სიდოროვა, ევროპის ჩემპიონი ცურვაში გ. პროზუმენშჩიკოვა-სტეპანოვა, სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ა. ლაზარევა.

▲ სტოკჰოლმი. დახურულ სტადიონზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ამერიკელმა ს. სმითმა. ფინალში მან მოუგო თანამემამულე ა. ეშს — 5:7, 6:4, 6:4. ნახევარფინალში სმითმა სძლია როზუელს (ავსტრალია) — 8:10, 6:2, 9:7, ეშმა — რიჩის (აშშ) — 7:5, 6:4. ტურნირში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, შვეციის, საფრანგეთის, ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელები.

▲ ბელგრადი. იუგოსლავიის ჩოგბურთის ფედერაციამ უარი თქვა მონაწილეობა მიიღოს ქალთა გუნდების „ფედერაციების თასის" გათამაშებაში, რომელიც ავსტრალიაში ეწყობა. მიზეზი ისაა, რომ ამ შეჯიბრებაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის გუნდებიც გამოდიან.

▲ მელბურნი. ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრები მიუნხენის ოლიმპიადისთვის სამზადისს შეუდგა. იგი გაისად ევროპაში ჩამოვა — ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, დანიის, შვეციის, გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრებ კოლექტივებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს.

▲ პრაღა. აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის რეგბისტთა გუნდების მეორე მატჩი ევროპის პირველობაზე. როგორც პირველ შეხვედრაში (19:3), ახლაც ჩეხოსლოვაკიელებმა გაიმარჯვეს — 9:0.

△ ლონდონი. 400 მეტრზე თარჯრბენში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი დ. ჰემერი (ინგლისი) გაისად შეჯიბრებებში აღარ გამოვა. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, სპორტსმენმა შეიმუშავა წვრთნის ინდივიდუალური გეგმა, რომელმაც ჰემერის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება უნდა მოუტანოს.

▲ ბერლინი. დახურულ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში ჰ. როზენდალმა 50 იარდზე თარჯრბენში მსოფლიო მიღწევა გაიმეორა — 6,5 წამი. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი ი. ბეკერი გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა.

△ კალსბერგი (გფრ). საერთაშორისო ველოკროსში იმარჯვა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ვან დემელმა (ბელგია). II ადგილზეა მისი თანამემამულე სი ნეისი, III — მსოფლიო ჩემპიონი დე მეერი.

▲ ბერლინი. იტალიელმა ქვემძიმე წონის პროფესიონალმა მოკრივემ პიერო დე პაპამ მე-15 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ჰ. მენედენსი (გფრ) და კონტინენტის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.

△ პრაღა. ჩეხოსლოვაკიელ „მფრინავ მოთხილამურეთა" მწვრთნელი ზ. რემზა, რომელმაც ქვეყანას ცნობილი სპორტსმენები რაშკა, მატოუში და სხვები აღუზარდა, ახალ სეზონში სათავეში ჩაუდგება იუგოსლავიის ნაკრებს.

▲ კუოპიო. ფინელმა მოთხილამურეებმა სეზონი გახსნეს. აქ გამართულ შეჯიბრებაში ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა პ. სავოლაინენმა, რომელიც ორივეჯერ 43 მეტრზე გადახტა და 213,4 ქულა დააგროვა.



## ფაზეკაში — № 1

23 წლის თავდამსხმელი ლ. ფაზეკაში (უიპეშტის „დოჟა") წლევანდელი სეზონის მიხედვით აღიარებულია უნგრეთის № 1 ფეხბურთელად. იგი უკვე რამდენიმე წელია ეროვნულ ნაკრებში გამოდის. ფაზეკაში დაიწინაურა ჯერ ლ. ბაროტიმ, შემდეგ — კ. შოოშმა.

წლეულს, როდესაც ი. ჰოფერმა თავიდან ჩამოაყალიბა გუნდი, ფაზეკაშმა ბენესთან ერთად შექმნა ცენტრალური თავდასხმის ტანდემი, რომელიც დიდი წარმატებით გამოდის.



## ერიბერტო ერერა შეეწირა

მილანის ორივე გუნდი—„მილანი" და „ინტერნაციონალე" იტალიის ფეხბურთის გრანდებს მიეკუთვნება, მაგრამ ისინი დიდ მეტოქეობას უწევენ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს. „მილანს" ან „ინტერნაციონალეს" გულშემატკივრები აპატიებენ ყველაფერს, გარდა, თანაქალაქელ მეტოქესთან წაგებისა.

მას შემდეგ, რაც „ინტერიდან" ელ. ერერა წავიდა, ამ გუნდს იტალიის ჩემპიონატში უკვე აღარ ჰქონია რაიმე წარმატება. შარშან კლუბს სათავეში ჩაუდგა მეორე ერერა, ერიბერტო, რომელიც ადრე წარმატებით წვრთნიდა „იუვენტუსს". ამ პარაგვაელმა სპეციალისტმა პირველივე წელს „ინტერს" იტალიის ჩემპიონატში II საპრიზო ადგილი მოუტანა.

და აი, ამ დღეებში, ერიბერტოს გადადგომა მოუხდა. საქმე ისაა, რომ „ინტერმა" სასტიკი მარცხი (0:3) იწვნია „მილანთან" მატჩში, ეს კი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ისეთი მარცხია, რომელსაც მწვრთნელს არავინ აპატიებს. ერერა შეცვალა 39 წლის ჯ. ინვერნიციმ, რომელიც „ინტერის" ჭაბუკებს ავარჯიშებდა.

## თბილისის სპორტულ ცხოვრებაში

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი. 18 დეკემბერი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), 20 დეკემბერი. „დინამო" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი). 22 დეკემბერი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი). 25 დეკემბერი. „დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ). 27 დეკემბერი. „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ). დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 18 ს. ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე—93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.